ახალი ხარაგაული

№448 (4) 24 მარტი, 2022 წ.

დაბის ცენტრალურ ქუჩაზე წყალარინებისა და უწყვეტი წყალმომარაგების სამუშაოები მარტის ბოლოს დასრულდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი, კობა ლურსმანაშვილი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის პროექტების მართვისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ბ-ნ ტიტე კიკაჩეიშვილსა და იმ კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ხარაგაულში წყალარინებისა (საკანალიზაციო) და უწყვეტი წყალმომარაგების სამუშაოებს.

მხარეებმა ერთად განიხილეს პროექტის დეტალები და იმსჯელეს არსებულ გამოწვევებზე. შემსრულებელი კომპანიების ხელმძღვანელებმა - ზურაბ ბარჯაძემ და ლევან ტაბიძემ- მუნიციპალიტეტის მერს დეტალურად მიანოდეს ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა სამუშაოები, რა პროცესები მიმდინარეობს ამჟამად და როდის დასრულდება.

მათივე განმარტებით, სამუშაოების შეფერხების მთავარი მიზეზი უამინდობა და რიგი გაუთვალისწინებელი ფაქტორებია, თუმცა, მიუხედავად ამისა, მთავარი მაგისტრალის რეაბილიტაცია მარტის ბოლოს დასრულდება, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება დაბის ცენტრალურ ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგება.

„პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის 80 % ფარულად, მიწისქვეშ მიმდინარეობს. ამიტომ წინასწარ არ ვიცით, მიწა რომ იჭრება, იქ რა სირთულის სამუშაოები დაგვხვდება. ხარაგაულში არსებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემა ათწლეულების ნინ გაკეთდა და არ არსებობს არანაირი ინფორმაცია, რუკა, არსებულ სისტემებთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, ხარაგაულის მიწისქვეშა კომუნიკაციები თვალით უხილავი იყო, რომელსაც ახლა ვსწავლობთ და ვაკორექტირებთ. სამუშაოების შეფერხების ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ ე.წ „რიყის“ ბინებში, მოსახლეობის ნაწილი უარს აცხადებს წყლის მრიცხველების დაყენებაზე, რაც შემდგომში სერიოზულ პრობლემას გამოიწვევს. ვცდილობთ, სამუშაოების განხორციელება ვადებში მოესწროს, კონტროლზეა აყვანილი ყველა პროცესი და მარტის ბოლოსთვის დაბის ცენტრალურ ქუჩაზე წყალარინებისა (საკანალიზაციო) და უწყვეტი წყალმომარაგების სამუშაოები უნდა დასრულდეს. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მაქსიმალურად დაინტერესებულია ამ საკითხებით. მინდა, მადლობა გადავუხადო მერსა და მის გუნდს, ისინი ყოველდღიურ რეჟიმში არიან ჩვენთან კომუნიკაციაში.“ - განაცხადა ტიტე კიკაჩეიშვილმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, კობა ლურსმანაშვილმა, პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და დასძინა, რომ ასეთი მასშტაბური სამუშაოები საკმაოდ რთული პრობლემების გადალახვის გარეშე ვერ განხორციელდებოდა.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხარაგაულში ორი მასშტაბური პროექტი ერთდროულად მიმდინარეობს. მივესალმები იმ ფაქტს, რომ სულ მალე მოსახლეობა უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს, ასევე დაბაში გვექნება ახალი წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემა, რომელიც წლებია, პრობლემა იყო მუნიციპალიტეტში. სამწუხაროდ, სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, აიყარა ასფალტის საფარი დაბის ცენტრალური ქუჩაზე, რამაც გარკვეული დისკომფორტი შეუქმნა მოსახლეობას, თუმცა ამის შესახებ საზოგადოება წინასწარ გვყავდა ინფორმირებული. რა თქმა უნდა, ეს ფაქტი ჩვენთვის სასიამოვნო არაა, მაგრამ სხვაგვარად პროექტები ვერ განხორციელდებოდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდი მოსახლეობას, მაგრამ ეს ბოდიში არ ეკუთვნით პოლიტიკურად ანგაჟირებულ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, ისტორიული პროექტის მიმართ ნეგატიური განწყობები შექმნან. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ცენტრალურ ქუჩაზე სამუშაოები, რაც შეიძლება მალე, დასრულდეს და დავიწყოთ გზის მოასფალტება. რასაკვირველია, ამით პროექტი არ სრულდება და სამუშაოები გაგრძელდება სხვა უბნებში, ჩიხებსა და ქუჩებზე. დისკომფორტები კვლავ იქნება, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია და ძალიან მალე გვექნება სრულიად განსხვავებული და გალამაზებული ხარაგაული.“ - აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

მუნიციპალიტეტის მერმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ მერია რაიმე სამართლებრივი ფორმით პროექტის განხორციელებაში ვერ ერევა და ხაზგასმით განმარტა, რომ თუ ვინმეს სურს სამუშაოების დროულად დასრულება, პირველი-ადგილობრივი ხელისუფლებაა.

„არ მინდა, საზოგადოებას ჰქონდეს იმის განცდა, თითქოს ეს პროცესები უყურადღებოდ არის დატოვებული. კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ ჩვენ სამართლებრივი უფლებამოსილება, რომ რაიმე ფორმით ვიყოთ ჩართული ამ პროექტის განხორციელებაში, არ გვაქვს. სახელშეკრულებო ვალდებულებები მათ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან აქვთ დადებული. თუმცა ყოველდღიურ რეჟიმში ვაკვირდებით სამუშაოებს და აქტიური კომუნიკაცია გვაქვს პასუხისმგებელ პირებთან.

ასევე გამოვეხმაურები საზოგადოებაში გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს თავიდან უნდა დაიწყოს სამუშაოები, რადგან მილები არასწორად ჩაიყარა. ეს არის სიცრუე და ამ კუთხით რაიმე სახის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ყველაფერი კეთდება ისე, როგორც პროექტი ითვალისწინებს და ასეთ დეზინფორმაციას ავრცელებენ ის ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ, რომ ხარაგაულში ასეთი მასშტაბური პროექტები ხორციელდება.“ - დასძინა მუნიციპალიტეტის მერმა.

კობა ლურსმანაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს საგზაო დეპარტამენტთან, რათა უმოკლეს დროში მოხდეს დაბის ცენტრალური ქუჩის მოასფალტება და მოსახლეობამ კომფორტულად შეძლოს გადაადგილება.

„ამ ეტაპზე გვიწევს „ბლექსი გრუპთან“ მუშაობა, რომ მთავარ ქუჩაზე, სამუშაოების დასრულებისთანავე, გზის რეაბილიტაცია დაიწყოს. კონტრაქტში გათვალისწინებული იყო ასფალტის ზედა ფენის გადაგება, ამჯერად კი სრულფასოვანი სამუშაოები უნდა ჩატარდეს, რადგან ქუჩების გადათხრამ ზედაპირი მნიშვნელოვნად დააზიანა. პირადად ვესაუბრე საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას და ისინი აწარმოებენ მათთან მოლაპარაკებას. სულ მალე „დევებიდან“ რკინიგზის სადგურამდე გზაზე ასფალტის დაგება დაიწყება და ზაფხულს აუცილებლად მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურით შევხვდებით,“ - განმარტა კობა ლურსმანაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტში 24-საათიანი წყალმომარაგებისა და წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემის რეაბილიტაციას, ტენდერში გამარჯვებული კომპანიები -შპს „ ლ.და.კ“ და შპს „ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი“ -ახორციელებენ. ორივე პროექტზე 5 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება.

ხარაგაულის მერმა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელა

ხარაგაულის მერიაში ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი ხელმძღვანელობდა. თათბირზე მერმა, მოადგილეებთან ერთად, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა.

საუბარი შეეხო, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, განსახორციელებელ პროექტებს. როგორც კობა ლურსმანაშვილმა განმარტა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში 188 პროექტი განხორციელდება და სამუშაოები ახლო მომავალში დაიწყება. მისივე ინფორმაციით, სოფლის პროექტებზე მერია ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებას გამოჰყოფს და, საერთო ჯამში, 1 192 000 ლარი დაიხარჯება.

შეხვედრაზე განიხილეს სოფლებში არსებული გამოწვევები და რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრეს. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების განხორციელება გამოამინდების შემდეგ ინტენსიურად დაიწყება. „მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერების უმრავლესობა, რომელიც მუნიციპალიტეტის სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითვალისწინებს, დასრულდა. პრიორიტეტი კვლავ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. რეგიონული განვითარების ფონდიდან პირველ ეტაპზე გამოყოფილი 2 775 762 ლარი სწორედ ამ მიმართულებით დაიხარჯება. კვლავ ველოდებით დამატებით თანხებს, რომელიც ახალი პროექტების განხორციელების შესაძლებლობას მოგვცემს." - აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

თათბირზე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაცემის საკითხზე ისაუბრა მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა. მისივე განმარტებით, მას მუდმივი კომუნიკაცია აქვს მერის წარმომადგენლებთან და მაქსიმალურად ცდილობს, არც ერთი ოჯახი უყურადღებოდ არ დარჩეს. ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, მოქალაქეები ძირითადად სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებასა და ერთჯერად ფინანსურ დახმარებას ითხოვენ.

დასასრულს, კობა ლურსმანაშვილმა მერის წარმომადგენლებს შესაბამისი დავალებები მისცა და თითოეულ მათგანს ხალხთან მეტი კომუნიკაციისკენ მოუწოდა.

ხარაგაულის მერმა ევსევ შველიძეს მადლობის სიგელი გადასცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი წარმატებული სპორტსმენების მხარდაჭერას განაგრძობს. ამჯერად მუნიციპალიტეტის მერი ხარაგაულის მკვიდრს, ევსევ შველიძეს, შეხვდა და ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული ასპარეზობისათვის მადლობის სიგელი გადასცა. საამაყოა, რომ ევსევი, 23 წლამდე მოჭიდავეთა შორის, ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

კობა ლურსმანაშვილმა ახალგაზრდა სპორტსმენს კიდევ ერთხელ მიულოცა ეს უდიდესი გამარჯვება და შემდგომში წარმატებები უსურვა. მუნიციპალიტეტის მერმა აქვე დასძინა, რომ ასეთ ახალგაზრდებს ადგილობრივი ხელისუფლებიდან ყოველთვის ექნებათ მხარდაჭერა.

„ევსევ შველიძე, ევროპის ჩემპიონატზე ხარაგაულისა და საქართველოს სახელის ღირსეულად წარმოჩენისთვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსურ ჯილდოს მიიღებს. ასეთივე ყურადღება გამოვხატეთ მის მიმართ, როდესაც თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ვფიქრობ, ევსევის მსგავს ახალგაზრდა და საამაყო სპორტსმენებს ნამდვილად სათანადო ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდებათ“,-განმარტა კობა ლურსმანაშვილმა.

შეხვედრას ესწრებოდა მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, რომელმაც მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის უფრო მეტად განვითარების აუცილებლობაზე ისაუბრა.

„მეამაყება და ვუერთდები იმ სასიხარულო განწყობას, რაც საზოგადოებაში ევსევის წარმატებას მოჰყვა. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, სპორტის განვითარება და წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერაა. მადლობა ევსევის ოჯახსა და იმ ადამიანებს, ვინც ასეთი სპორტსმენების აღზრდა-განვითარებაში მონაწილეობას იღებენ“, - განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

თავის მხრივ, ევსევ შველიძემ მადლიერება გამოხატა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ და განმარტა, რომ შეეცდება, სამომავლოდ კიდევ მეტი წარმატება მოიპოვოს და გულშემატკივრები გაახაროს.

„მადლობა მინდა, გადავუხადო, ხარაგაულის მერიას გვერდით დგომისა და დაფასებისათვის, ასევე ჩემს მწვრთნელს, რევაზ შერგელაშვილს, რომელთანაც გავიარე მომზადების ეტაპი. არ შემიძლია, არ გავიხსენო ანზორ მაღრაძე, მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს სპორტსმენად ჩამოყალიბებაში. ვეცდები, მსოფლიო ჩემპიონატიდან ოქროს მედლით დაგიბრუნდეთ და კიდევ ერთხელ ვასახელო ჩემი საქართველო, ჩემი ხარაგაული.“

ამავე დღეს, მუნიციპალიტეტის მერმა, ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის" დირექტორ გია ჭიპაშვილთან ერთად, სპორტსმენების მხარდაჭერასა და მწვრთნელებისათვის უკეთესი პირობების შექმნაზე იმსჯელა.

„ევსემის გამარჯვებას ნამდვილად დადებითი გავლენა ექნება იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც სპორტის ამ სახეობაში ვარჯიშობენ. ფაქტია, რომ შედეგი შესაძლებელია დაიდოს, რასაც სჭირდება შრომა. ჩვენ უნდა შევიმუშაოთ გეგმა, რომელიც მორგებული იქნება ნიჭიერი სპორტსმენების ხელშეწყობაზე, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე გარკვეული წამახალისებელი პროგრამები უნდა შევთავაზოთ იმ პირებს, რომლებიც ნაკრების წევრები აღარ არიან. იმედი მაქვს, რომ ეს ადამიანები, არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის საზღვრებს მიღმაც, გვასახელებენ“, -აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრები დასრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, შეხვედრები დასრულდა. სოფლებში გამართულ კრებებს უშუალოდ ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი და მოადგილე დავით დევდარიანი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები თავად მოსახლეობამ შეარჩია და ძირითადად პრიორიტეტული საკითხები გარე განათების მოწყობა, გზისა და წყლის სისტემის რეაბილიტაციაა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხარაგაულის მერის გადაწყვეტილებით, ზოგიერთ პროექტზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდება თანადაფინანსება.

„იმ პროექტების განხორციელებაში, რომლებიც სოფლისათვის მნიშვნელოვანია და რისთვისაც პროგრამით გათვალისწინებული თანხები არ არის საკმარისი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესაბამისი დაფინანსებით ჩავერთვებით. მოსახლეობა ზუსტად ახდენს იმ პრობლემების იდენტიფიცირებას, რაც მათი კუთვნილი თანხებით შეიძლება გაკეთდეს. ისინი აქტიურად გამოდიან, ფიქრობენ თავიანთი სოფლის საჭიროებებზე და იღებენ გადაწყვეტილებებს, რაც ნამდვილად მისასალმებელია.“-განმარტავს ხარაგაულის მერი.

გთავაზობთ ინფორმაციას განსახორციელებელ პროექტებზე:

ხუნევში სასაფლაოსა და ამბულატორიის ეზოს შემოღობვა, გარე განათების სისტემისა და კალოს უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა იგეგმება, ვერტყვიჭალაში-გოგოლაძეების უბანში - გზის მობეტონება, სოფლის ცენტრში სკვერისა და გარე განათების სისტემის მოწყობა, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ღობის შეკეთება, სოფლის ცენტრალურ გზაზე სანიაღვრე არხის გაკეთება, ბჟინევში- სასაფლაოს ეზოს შემოღობვა, ვერტყვილაში- გარე განათების სისტემისა და სანიაღვრე არხის მოწყობა, საყრდენი კედლის აშენება, სასაფლაოს ეზოს შემოღობვა, გედსამანიაში - წყლის სათავე ნაგებობის შეკეთება, ეკლესიის ეზოს შემოღობვა, ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია, გარე განათების სისტემის მოწყობა, რიკაძეების საუბნო გზის შეკეთება;

ბორითში წყლის სისტემის მოსაწყობად მასალებს შეიძენენ, რეაბილიტირდება ხიდ-ბოგირები, მოეწყობა საყრდენი კედელი და სანიაღვრე არხები, ასევე მოხდება გზის შეკეთება, გზა რეაბილიტირდება ამაშუკეთში, ხიდ-ბოგირი- ერეთაში, ვაშლევში შემოიღობება სასაფლაოს ეზო, მოეწყობა სკვერი და სანიაღვრე არხები, კვესრევში შემოიღობება სასაფლაოს ეზო და გზა შეკეთდება ორ უბანში, მაქათუბანში დაგეგმილია გზის შეკეთება-გასწორხაზოვნება, სანიაღვრე არხის მოწყობა (შველიძეების უბანი), საქასრიაში-სასაფლაოს ეზოს შემოღობვა, ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია, გზის ნაწილის მობეტონება (მევლუდი წიქარიშვილის უბანი), უბისაში-სკვერის მოწყობა, გზის მობეტონება, ციხისძირში - გზის შეკეთება, ხიდის რეაბილიტაცია;

ბაზალეთსა და **ღარიხევში** ადგილობრივები გარე განათების სისტემის მოწყობას აპირებენ, ასევე ბაზალეთში გაკეთდება წყლის ჭაბურღილი, წიფში-სასაფლაოს ეზო შემოიღობება, ქროლში სპორტული მოედანი გაკეთდება;

ხევში, ციცქიურში, გრიგალათსა და **წაქვაში** სასაფლაოს ეზოები შემოიღობება;

ვარძიაში წყლის ჭაბურღილი მოეწყობა და გზა რეაბილიტირდება;

სარგვეშში, საბესა და ხორითში გარე განათების სისტემა მოეწყობა, ასევე საუბნო გზები დაიხრეშება, მირიოწმინდაში კი სკვერი გაკეთდება;

ღორეშაში რეაბილიტირდება წყლის სათავე ნაგებობა, საუბნო გზები, მგზავრთა მოსაცდელებზე კი მოაჯირები გაკეთდება;

ნადაბურში გზა დაიხრეშება, მოეწყობა მგზავრთა მოსაცდელი და გარე განათება. რაც შეეხება გოლისს, აქ სასაფლაოს ეზო შემოიღობება;

კიცხში, თეთრაწყაროსა და ბორში წყლის სისტემა მოეწყობა, ასევე რეაბილიტირდება გზები და შემოიღობება სასაფლაოს ეზოები, გზის მოხრეშვა განხორციელდება საქარიქედშიც;

ფარცხნალში წყლის ჭაბურღილი მოეწყობა, ახალოსოფელში - გარე განათება, ისლარსა და ღუდუმექეთში-გზები რეაბილიტირდება;

საღანძილეში, ზარანში, ჯაფაროულში, სხლოთსა და ჩხერში გზები დაიხრეშება, საღანძილეში ასევე მოეწყობა წყლის სისტემა და სკვერი; ვანში - წისქვილი, ჯაფროულში - გარე განათება და სპორტული მოედანი;

მოლითში შეკეთდება გზა, გარდა ამისა, მოხდება წყლის სისტემისა და წისქვილის რეაბილიტაცია. ბაბში აშენდება წყლის ორი რკინა-ბეტონის ავზი, ქვებში, ჭარტალში, ბეჟათუბანში, დეისსა და ნებოძირში წყლის სისტემები მოეწყობა, ანიულაში - წისქვილი;

ლეღვანსა და პატარა სახვლარში გზები რეაბილიტირდება, მარელისში წყლის სისტემა მოეწყობა;

ლაშის, უჩამეთის, ღვერკისა და ხემაღლის მოსახლეობისათვის პრიორიტეტულ საკითხს საუბნო გზების შეკეთება-მოხრეშვა წარმოადგენს, ასევე გაკეთდება სანიაღვრე არხები;

ზვარესა და ნუნისში გზები რეაბილიტირდება, ჩრდილში კი გარე განათების სისტემა მოეწყობა;

ვახანის, ზედუბნისა და სერბაისის მცხოვრებლები გამოყოფილი თანხის ფარგლებში, საუბნო გზების შეკეთებას გეგმავენ,ასევე შეისყიდიან წყლის მილებს;

ხიდარში საუბნო გზები დაიხრეშება და სანიაღვრე არხები გაკეთდება;

წყალაფორეთში წყლის სისტემა მოეწყობა, ხონში - წყლის ჭაბურღილი, ლახუნდარასა და ჩალხეეთში - გზები რეაბილიტირდება;

წიფასა და გოლათუბანში გარე განათება გაკეთდება, გუდათუბანში საუბნო გზები დაიხრეშება.

შერჩეული საპროექტო წინადადებები მერიამ საკრებულოს მოსაწონებლად უკვე წარუდგინა. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებულ პროექტებზე მომზადდება ხარჯთაღრიცხვები, რის შემდეგაც სამუშაოები დაიწყება. აქვე გეტყვით, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მიმდინარე წელს 890 000 ათასი ლარი გამოეყო, რომელიც მოსახლეობის მიერ შერჩეულ მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დაიხარჯება.

ეკა შავიძე

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადაეცათ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ახალი, თანამედროვე, კომფორტული ეტლები გადაეცათ.

სოციალური აქცია საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის"(თავმჯდომარე მაია კვეზერელი - კოპაძე) მხარდაჭერით განხორციელდა და ამჯერად სავარძლები, ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით, იმ პირებმა მიიღეს, ვისაც ან საერთოდ არ ჰქონდა ეტლი, ან დაზიანებული იყო.

მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი, საკრებულოს თავჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე, მერიის სოციალური სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე და საერთაშორისო ორგანიზაცია - „საქართველოს ქალები სიცოცხლისა

და მშვიდობისათვის" თავმჯდომარე მაია კვეზერელი-კოპაძე ბენეფიციარებს სახლში პირადად ესტუმრნენ და ადგილზე გაეცნენ მათს ჯანმრთელობის მდგომარეობას.

ამავე დღეს ტანსაცმელი დაურიგდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უკიდურესად შეჭირვებულ ათ ოჯახს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის-„საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის"- წარმომადგენლებმა საბავშვო-შემეცნებითი ლიტერატურა საჩუქრად გადასცეს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს.

მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, მადლობა გადაუხადა ქ-ნ მაია კვეზერელ-კოპაძეს მუნიციპალიტეტში ასეთი მასშტაბური აქციის განხორციელებისათვის და ხაზგასმით განმარტა, რომ ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლება ყოველთვის მზადაა, მსგავს ინიციატივებს მხარი დაუჭიროს.

„ჩვენს საქმიანობაში კვლავ პრიორიტეტად რჩება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე ზრუნვა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, სხვადასხვა პროგრამა ხორციელდება. განსაკუთრებული მადლობა მინდა, გადავუხადო ქ-ნ მაია კვეზერელ-კოპაძეს, რომლის ძალისხმევით 2016 წლიდან ბენეფიციარებს ეტლები უფასოდ ურიგდებათ. თუკი მუნიციპალიტეტში კვლავ დადგება ეტლების საჭიროება, მზად ვართ, მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.“-განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

ინფორმაციისათვის, ბენეფიციარებს ეტლები ინდივიდუალურად, წინასწარ შესწავლილი ზომებისა და საჭიროების მიხედვით, შეერჩათ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსგავსი ტიპის აქცია ხარაგაულში 2016 წლიდან ხორციელდება და ამ პერიოდის განმავლობაში 50-ზე მეტი გსმ პირი იქნა დამხმარე მოწყობილობით უზრუნველყოფილი.

ეკა შავიძე

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსად აკაკი ლურსმანაშვილი დაინიშნა

ხარაგაულის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსად აკაკი ლურსმანაშვილი დაინიშნა. ბ-ნ აკაკი აღნიშნულ თანამდებობაზე კონკურსის წესით შეირჩა. ახლად დანიშნული უფროსი თანამშრომლებს მერის პირველმა მოადგილემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, წარუდგინა. როგორც ბ-ნმა ვარლამმა აღნიშნა, აკაკი ლურსმანაშვილი პროფესიით ეკონომისტია,წლების განმავლობაში მუშაობდა საფინანსო-საბიუჯეტო მიმართულებით და სწორედ საკუთარი პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით შეირჩა.

„აკაკი ლურსმანაშვილი ერთ-ერთი კვალიფიციური კადრია და ის ყველა სამსახურში ღირსეულად და კეთილსინდისიერად საქმიანობდა. დარწმუნებული ვარ, რომ დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გაართმევს თავს. ვგეგმავთ აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფრო გაძლიერებას, რადგან ეს საქმე საკმაოდ საპასუხისმგებლოა. მათი ვალდებულებაა, განახორციელონ საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტორული შემოწმება რეკომენდაციების გაცემის მიზნით და აწარმოონ მონიტორინგი.

ჩვენი მთავარი მიზანია, საბიუჯეტო სახსრები დაიხარჯოს კანონიერად, ეფექ-

ტურად და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.“-აღნიშნა მერის მოადგილემ.

ინფორმაციისათვის, აკაკი ლურსმანაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ხარაგაულის ფილიალში, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში ბუღალტრად, ამავე თანამდებობას იკავებდა რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრში. 2018 წელს არჩეულ იქნა კიცხის მაჟორიტარ დეპუტატად და ოთხი წლის განმავლობაში საქმიანობდა ხარაგაულის საკრებულოში.

ეკა შავიძე

ხარაგაულში, უსინათლოთა პროგრამის ფარგლებში, მეცადინეობები განახლდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში უკვე ხუთ წელზე მეტია, უსინათლოთა პროგრამა ფუნქციონირებს. პანდემიიდან გამომდინარე, მეცადინეობები დროებით შეჩერდა, თუმცა რამდენიმე ხანში კვლავ განახლდება. მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით 12 000 ათასი ლარი გამოიყო და სწავლება 6 აპრილიდან დაიწყება.

როგორც ჩვენთან საუბარში პროექტის მენეჯერი გულნარა ჭარბაძე აღნიშნავს, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უსინათლო პირებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაეუფლონ ბრაილის შრიფტით სწავლებას, ადაპტირებული ხმოვანი კომპიუტერის პროგრამასა და სამაგიდო თამაშებს, ასევე განახლდება აუდიო ლიტერატურული წრე. „პროექტი რვათვიანია და ამჯერად, დაახლოებით, 14 ბენეფიციარი ჩაერთვება. მეცადინეობები კვირაში ორ დღეს - ოთხშაბათსა და პარასკევს-ჩატარდება. ამ წლების განმავლობაში, დაახლოებით, 30 პირმა გაიარა სწავლება, ზოგი მათგანი პროფესი-

ონალ კადრად ჩამოყალიბდა და დამოუკიდებლად შეუძლიათ, განახორციელონ ადაპტირებული კომპიუტერული პროგრამისა და ბრაილის შრიფტით სწავლება. მინდა, მადლობა გადავუხადო ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენენ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებზე და ხელს უწყობენ მათს საზოგადოებაში ინტეგრაციას“. - დასძინა გულნარა ჭარბაძემ.

ვასილ ლომიძე, რომელიც უსინათლოთა საზოგადოების ზესტაფონის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილეა, პროექტის მნიშვნელობაზე საუბრობს და მადლობას უხდის ხარაგაულის მერს, ბ-ნ კობა ლურსმანაშვილს, რომლის ძალისხმევით წლებია, პროგრამა წარმატებით ხორციელდება.

„ვთვლი, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ. დამოუკიდებლად შემიძლია ინტერნეტში ინფორმაციისა და აუდიო მასალების მოძიება, ჩამოტვირთვა და მოსმენა. ამასთან ერთად, სხვა უსინათლო პირებსაც ვეხმარები-ისწავლონ კომპიუტერთან მუშაობა. როდესაც ეს პროექტი წლების წინ ხარაგაულის მერიაში წარვადგინე, დიდი მხარდაჭერა გვქონდა კობა ლურსმანაშვილის მხრიდან. ეს ადამიანი ყოველთვის გვერდით გვიდგას და ამ წლების განმავლობაში მაქსიმალურად ზრუნავს ჩვენს კეთილდღეობაზე. მივესალმები იმ ფაქტს, რომ ხარაგაულის მერია ყოველთვიურად უსინათლოებს ფულად დახმარებას უწევს, რაც ნამდვილად დასაფასებელია“, - განმარტავს ვასილ ლომიძე.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსინათლო პირების სამოქალაქო აქტივობაში ჩართულობას, მათთვის ხელმისაწვდომი გზით ინფორმაციის მიღების ხელშეწყობას.

თამარ მაღრაძე

ანონსი

25 მარტს ქალაქ თბილისში, მწერალთა სახლში, რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელი, იზა ვეფხვაძე მღვდელმონაზონ მამა მათეს სადმი (ბუაჩიძე) მიძღვნილი წიგნის „ბილიკი უფლისკენ" პრეზენტაციას გამართავს.

დასწრების მსურველთათვის სამარშრუტო ტაქსი ხარაგაულის მერიის მიმდებარე ტერიტორიიდან 10 საათზე გავა. ღონისძიება 15:00 საათზე დაიწყება.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული წიგნის პრეზენტაცია აპრილის ბოლოს ხარაგაულში მოეწყობა.

ხარაგაულის ემჩია დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს შეუერთდა

2011 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ დაწესდა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამ დღეს, დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ღონისძიება იმართება, მათ შორის, საქართველოშიც. დაუნის სინდრომი გენეტიკური ცვლილებაა, რომლის დროსაც ნაყოფის უჯრედებში 46-ის ნაცვლად 47 ქრომოსომა ჩნდება და ათასი ბავშვიდან ერთი სწორედ ამ სინდრომით იბადება.

აღსანიშნავია, რომ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს ხარაგაულის მერიაც შეუერთდა. მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი სოფელ ლაშეში მცხოვრებ ნათია ნიქაცაძეს სახლში პირადად ესტუმრა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

„მინდა, განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო მუნიციპალიტეტში მცხოვრები დაუნის სინდრომის მატარებელი ყველა პირისადმი. ხარაგაულის მერია ნებისმიერი მასშტაბური სოციალური აქციის, ღონისძიებისა თუ პროგრამის ფარგლებში, ითვალისწინებს მათს საჭიროებებს და, შესაძლებლობის ფარგლებში, დახმარებას უწევს“,- აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

აქვე მოგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტში დაუნის სინდრომის მქონე ხუთი პირი ცხოვრობს, რომლებსაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან პირად ანგარიშზე 100 ლარი ჩაერიცხათ.

ეკა შავიძე

ხარაგაულში „სათნოების სახლი“ 105 ბენეფიციარს ემსახურება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ „სათნოების სახლს“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე რამდენიმე ხნის წინ თამარ შავიძე დაინიშნა. ქ-ნი თამარი, პროფესიით, სტომატოლოგია. სხვადასხვა დროს მუშაობდა ა(ა) იპ „კეთილმოწყობისა და დასუფთავების“ გაერთიანებაში, ხარაგაულის საკრებულოს აპარატში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თამარი საკმაოდ ნიჭიერი, აქტიური, მიზანსწრაფული და მოტივირებული კადრია. რაც მთავარია, ძალიან უყვარს ხარაგაული და კარგად იცნობს, რა საჭიროებები და მოთხოვნები აქვს მოსახლეობას. უფრო დეტალურად, რა გეგმები აქვს ახლად დანიშნულ დირექტორს და რა სერვისებს სთავაზობს „სათნოების სახლი“ ბენეფიციარებს, ამის შესახებ თამარ შავიძე პირადად გვესაუბრება.

„პირველ რიგში, მადლობა მინდა, გადავუხადო მერიის გუნდს გამოცხადებული ნდობისა და მხარდაჭერისათვის. მაქსიმალურად შევეცდები, ეს ნდობა გავამართლო და უფრო ეფექტური გავხადო ორგანიზაციის საქმიანობა. ვიზრუნებ იმაზე, რომ უფრო მეტი შეჭირვებული ოჯახები მოვიცვათ და მათი ყოფა-ცხოვრება გავაუმჯობესოთ. როგორც კი უფლებამოსილების განხორციელებას შევუდექი, პირადად შევხვდი ბენეფიციარებს და მოვისმინე ინფორმაცია მათი საჭიროებების შესახებ. სრულ მზადყოფნაში ვარ, ყველა პრობლემური საკითხი მოგვარდეს და, რაც შეიძლება, მეტი კმაყოფილი ადამიანი გვყავდეს. ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში, მაქსიმალურად აქტიურად ვიმუშავებ, რომ ყველა გამოწვევას სათანადოდ ვუპასუხო. ვფიქრობ, ერთობლივი და კოორდინირებული თანამშრომლობით, შედეგი აუცილებლად გვექნება და მომსახურების ხარისხი გაცილებით უკეთესი იქნება.

- რამდენი ბენეფიციარი სარგებლობს „სათნოების სახლის“ მომსახურებით და როგორ ხდება მათი შერჩევა?

- „სათნოების სახლი“ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეთა უფასო კვებას ემსახურება. ბენეფიციართა მიღება ხდება მერიის სოციალური სამსახურის მომართვიანობისა და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთა მიერ გაწეული შუამდგომლობის გათვალისწინებით, რომელსაც თან ახლავს ცნობა ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ. ობიექტურობა მაქსიმალურად დაცულია, რადგან მომსახურება სწორედ იმ ადამიანებმა უნდა მიიღონ, ვისთვისაც ის გარდაუვალი აუცილებლობაა. ამჯერად 105 ბენეფიციარს ვემსახურებით, აქედან კვირაში ექვსი დღე უფასო სადილისთვის 65 პირი გვაკითხავს, დანარჩენს კი საკვები სახლში მიეწოდება. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა დაბისა, ბენეფიციარები გვყავს ახლომდებარე სოფლებიდანაც. ვფიქრობთ, ახლო მომავალში მომსახურების არეალი კიდევ უფრო გაიზრდება და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებსაც მოვიცავთ.

-გვესაუბრეთ კვების რაციონზე, როგორია ყოველდღიური მენიუ?

-კვების რაციონი საკმაოდ მრავალფეროვანია და მენიუში გვაქვს ყველა პროდუქტი, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი და საჭიროა. ხორცი,თევზი, რძის პროდუქტები, ლობიო, წიწიბურა, ხილი და ტკბილეული-ეს ის მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც ბენეფიციარები კვირის განმავლობაში იღებენ. გარდა ამისა, სადღესასწაულო დღეებში გვაქვს განსხვავებული მენიუ და მცირედი საჩუქრები ტკბილეულის სახით. რაც მთავარია, ჩვენთან შესაძლებელია ხარისხიანი საკვები პროდუქტების მიღება და ჰიგიენური ნორმები მაქსიმალურად დაცულია.

აღსანიშნავია ისიც, რომ წინა წლებთან შედარებით, კვება ბევრად გაუმჯობესებულია და ხელისუფლების მხრიდან უფრო მეტი ყურადღება იგრძნობა.

-როგორ ახორციელებთ საკვები პროდუქტების შესყიდვას?

- პროდუქტების შესყიდვა, კანონის სრული დაცვით, ტენდერის საშუალებით შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხდება. ტექნიკურ დოკუმენტაციაში კი მითითებულია ყველა ის მოთხოვნა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს მომწოდებელი კომპანია. მიმდინარე წელს 52 742 ათასი ლარის სხვადასხვა დანიშნულების საკვები პროდუქტი შევიძინეთ, რომელსაც გამარჯვებული მეწარმეები წლის განმავლობაში გეგმის მიხედვით მოგვაწოდებენ.

-რამდენი ლარით განისაზღვრა მიმდინარე წელს „სათნოების სახლის“ ბიუჯეტი და რა თანხები იხარჯება კვებაზე?

-ხარაგაულის „სათნოების სახლი“ მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 138 000 ლარით დაფინანსდა. თუმცა რამდენიმე ხნის წინ, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, ეს თანხა 25 000 ათასი ლარით გაიზარდა. აპრილიდან რამდენიმე ბენეფიციარი დაგვემატება და მომატებული თანხის გარკვეული ნაწილი ამ მიმართულებით დაიხარჯება. საერთო ჯამში, მიმდინარე წელს ბენეფიციართა კვებაზე 80 000 ათასი ლარია გათვალისწინებული.

-როგორც ვიცი, დაგეგმილი გაქვთ ახალი ინვენტარის შეძენა, გვესაუბრეთ ამის შესახებ უფრო დეტალურად.

-აუცილებელია, რომ „სათნოების სახლი“ მუშაობდეს გამართულად და დაცული იყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ამისთვის კი საჭიროა ინვენტარის განახლება, რომლის არქონაც ნამდვილად დიდ პრობლემას წარმოადგენს. ვგეგმავთ, გაზქურის, გამწოვის, დახლ-მაცივრისა და სხვა ინვენტარის შეძენას, რომლებიც საჭიროა ნორმალური ფუნქციონირებისათვის და იმისათვის, რომ ბენეფიციარებს გამართულად მოვემსახუროთ.

-როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

-ჩემი სამომავლო გეგმაა, მუნიციპალიტეტში მაქსიმალურად მოხდეს იმ ადამიანების იდენტიფიცირება, რომლებიც ჩვენგან დახმარებას საჭიროებენ. არ მინდა, ვინმე უყურადღებოდ დარჩეს და ვისაც ამის საჭიროება აქვს, ყველამ ისარგებლოს „სათნოების სახლის“ მომსახურებით. დიდი სურვილი მაქვს, უფრო მრავალფეროვანი მენიუ შევთავაზოთ ბენეფიციარებს და გაიზარდოს კმაყოფილების ხარისხი. ეს ადამიანები ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ და, რაც შეგვეძლება, მაქსიმალურად გვერდით დავუდგებით. სოციალური სფერო პრიორიტეტია ადგილობრივი ხელისუფლებისათვის და, ვფიქრობ, ამ მიმართულებით სამომავლოდ ბევრი საინტერესო სიახლე გვექნება.

ეკა შავიძე

ადმინისტრაციული სამსახურის მუშაობა ღიღმპითად შეფასდა

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინეს და დადებითად შეაფასეს. საკითხი ამავე სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა წარადგინა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა იმ აქტივობებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამსახურის ორგანიზებით განხორციელდა. კახაბერ გოლუბიანის ინფორმაციით, ამჟამად მერიის საშტატო ნუსხა განსაზღვრულია 85 საშტატო ერთეულითა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული 48 პირით. აქედან საშტატო ერთეულით დასაქმებულია 70, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით-45. სამსახური აერთიანებს ხუთ განყოფილებას, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ მათზე დაკისრებულ უფლება- მოვალეობებს.

საანგარიშო პერიოდში მერიაში შესულია 6731 კორესპონდენცია, რომლებზეც პასუხების გაცემა კანონით დადგენილ ვადებში მოხდა. გამოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2471 ბრძანება, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 118 განკარგულება, სამსახურებრივი შიდა მოძრაობის 1470 წერილი, სოციალურ საკითხებზე 2615 განცხადება, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ 197 განცხადება.

მერიის მოსამსახურეთა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით ხდება პირადი საქმეების წარმოება, მზადდება სამართლებრივი აქტების პროექტები, მოწმდება მოსამსახურეების მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულე და შესაბამისობა, დგინდება თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის გრაფიკი და კონტროლდება

კანონით დადგენილ ვადაში დეკლარაციების წარდგენის პროცესი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ადმინისტრირებას უწევს ვებ-გვერდს www.kharagaulinews.gov.ge, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სპორტულ, თუ სხვა ღონისძიებების შესახებ. 2021 წელს ხარაგაულის მერიამ მოქალაქეებს შესთავაზა ახალი ელექტრონული პლატფორმა- „მოქალაქეთა უკუკავშირი“, რომელიც ვებ-გვერდზე kharagaulinews.gov.ge განთავსდა. ონლაინ პლატფორმის მიზანია, მოქალაქეების მხრიდან შეფასდეს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სერვისები და პროგრამები. ხარაგაულის მერია კომუნიკაციის აღნიშნულ ფორმას, მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობის დასადგენად იყენებს.

წარმომადგენლებთან კოორდინირების განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს საკრებულოს, მერიისა და ადგილობრივი სამსახურების საინფორმაციო მომსახურებას, კონტროლს უწევს ტერიტორიულ ერთეულებში სამართლებრივი აქტებისა და სხვა დავალებების დროულ შესრულებას. განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და განმარტებას აძლევს მოქალაქეებს მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მომზადდა ადმინისტრაციული აქტების პროექტები, დასკვნები და სხვადასხვა სახის წერილობითი ინფორმაციები. მერის წარმომადგენლებთან ხდება პიროვნებების იდენტიფიცირება და ვადის დაცვით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხარაგაულის სამოქალაქო რეესტრში“ იგზავნება ოქმები პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ. განყოფილების მუშაკების მიერ ტარდება კონსულტაციები მერის წარმომადგენლებთან, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ საქართველოს კანონის“ მოთხოვნათა შესასრულებლად.

იურიდიული განყოფილების მიერ მომზადებულ იქნა მერიის სამართლებრივი აქტის პროექტები და ხდებოდა მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში, ასევე მზადდებოდა შესაგებლები და სარჩელები, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სამოქალაქო საქმეებზე. განყოფილება აქტიურად იყო ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში. 2021 წელს მოხდა 119 განაცხადის დამუშავება, მიწის ნაკვეთების ადგილზე დათვალიერება, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. იურიდიული განყოფილება მონაწილეობას იღებს მერიაში შექმნილი სხვადასხვა კომისიის საქმიანობაში, ასევე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებზე, სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გაწეულ იქნა სამართლებრივი კონსულტაციები.

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებამ ფუნქციონირება დაიწყო 2021 წლის აპრილში და ამ დრომდე, მომართვიანობის საფუძველზე, განხილულია 20 ქეისი. ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება, ჯგუფური გასვლა და მდგომარეობის გაცნობა. სოციალური მუშაკის მიერ თითოეულ საქმეზე დადებულია დასკვნა. ზოგიერთ შემთხვევაზე საქმე არ დახურულა და მიმდინარეობს ასეთი ოჯახების დაკვირვება. განყოფილებამ, განათლების სამინისტროსთან ერთად, განახორციელა სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგი. მოხდა ისეთი მოზარდების იდენტიფიცირება, რომლებსაც, მიუხედავად სასკოლო ასაკისა, არასდროს ჰქონიათ მოსწავლის სტატუსი და არ ირიცხებიან არცერთ სკოლაში.

ერთი არასრულწლოვანი ბენეფიციარი გადაყვანილ იქნა ჭიათურის სპეციალური საჭიროების მქონე სკოლა-პანსიონში, სადაც მოზარდის სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნავენ და მუშაობენ სპეცპედაგოგები. ჩატარდა ბორის სკოლა-პანსიონის მონიტორინგი და განხორციელდა ვიზიტები იმ ბენეფიციარებთან, რომლებიც სარგებლობენ პანსიონური მომსახურებით და არიან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი.

ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების ჩართულობით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით აღირიცხა და შეიქმნა ისეთი ოჯახების ბაზა, სადაც ცხოვრობენ არასრულწლოვნები. დაწყებულია არასრულწლოვან შშმ პირთა ბაზის შექმნა (სტატუსიანი, უსტატუსო), რომლის დასრულების შემდეგაც, იგეგმება პროექტის განხორციელება მუნიციპალიტეტის სასწავლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში სისხლის ყანგარო დონორთა აქცია გაიმართა

„გაიღე სისხლი-გადაარჩინე სიცოცხლე“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სისხლის უანგარო დონაციის აქციაში ჩაერთო.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა, თემის რწმუნებულებმა და სხვა სამსახურების წარმომადგენლებმა სისხლი უანგაროდ გაიღეს.

აქციის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო მუნიციპალიტეტის მერი კობა ლურსმანაშვილი, რომელმაც სისხლის უანგარო დონაციის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე ისაუბრა და ყველა დონორს, რომლებმაც გამოიჩინეს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, მადლობა გადაუხადა.

„ძალიან მნიშვნელოვანია, გაიღო სისხლი და გადაარჩინო ადამიანების სიცოცხლე. ვფიქრობ, ეს ქველმოქმედების ერთ-ერთი სახეა. ხარაგაული, როგორც ყოველთვის, დღესაც სოლიდარული იყო და ღირსეულად გამოხატა ამ შესანიშნავი აქციის მიმართ სრული მხარდაჭერა."-აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

თავის მხრივ, სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის დირექტორმა სამედიცინო დარგში, მარინა რუხაძემ კობა ლურსმანაშვილს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და განმარტა, რომ ხარაგაული, მსგავსი ტიპის აქციებში, ყოველთვის მაღალი აქტივობით გამოირჩევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დონორს ჩაუტარდა სისხლის გამოკვლევა და შედეგები პირადად ეცნობებათ. აქვე მოგახსენებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, მომზადებული სისხლის პროდუქტები დახმარების სახით, უკრაინაში გაიგზავნება.

ინფორმაციისათვის, სისხლის უანგარო დონაციაში ჩართვის მსურველებს შესაძლებლობა აქვთ, დარეკონ ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე (1505) ან გაიარონ რეგისტრაცია ვებგვერდზე www.donor.moh.gov.ge.

ეკა შავიძე

სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასაქმების პროგრამა დაიწყო

სოციალურად დაუცველი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო. ამის შესახებ ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის რაიონული განყოფილების უფროსმა, კიაზო გამრეკელაშვილმა, მოგვაწოდა. როგორც ჩვენთან საუბარში ბ-ნ კიაზო განმარტავს, სამსახური აქტიურად ანყობს შეხვედრებს, რათა ბენეფიციარებს პროგრამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მიენოდოთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, კობა

ლურსმანაშვილის, გადაწყვეტილებით, ვაკანსიები მერიის მიერ დაფუძნებულ ა(ა) იპ-ებშიც გამოცხადდა. კიაზო გამრეკელაშვილის ინფორმაციით, პროგრამის ბენეფიციარები 18 წლისა და საპენსიო ასაკამდე შრომისუნარიანი პირები არიან, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 120 000-ს არ აღემატება და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

„დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება და საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით ანგარიშდება და 300 ლარს შეადგენს. ეს თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება და სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. ამჟამად ხარაგაულში, დაახლოებით, 200-ზე მეტი ვაკანსიაა გამოცხადებული," - აღნიშნავს კიაზო გამრეკელაშვილი.

ინფორმაციისათვის, დასაქმების პროგრამაში ჩასართავად ბენეფიციარებმა უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს.

თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება. თუმცა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეეძლებათ.

ეკა შავიძე

დეპუტატთა სარჯების აღაზღაურების ახალი წესი ამოქმედდება

21 მარტს გამართულ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, დეპუტატებმა ა(ა) იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის", „სამუსიკო სკოლისა" და მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშები მოისმინეს. საკითხი ამავე სამსახურების უფროსებმა წარმოადგინეს, რომლებმაც დეტალურად ისაუბრეს იმ ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, რომლებიც, მათივე ჩართულობით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა. სხდომა ძირითადად კითხვა-პასუხის რეჟიმში

წარიმართა და დეპუტატებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი პასუხები გაეცათ. საკრებულოს თავმჯდომარის, მანანა ბარბაქაძის, გადაწყვეტილებით, ანგარიშების განხილვა შესაბამის კომისიებსაც დაევალა.

ამავე სხდომაზე მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა წარმოადგინა საკითხი, რომელიც მერიის ორ სამსახურში ახალი განყოფილებების შექმნას ითვალისწინებს. კერძოდ, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურში იქმნება ეკონომიკური განვითარების განყოფილება, შესყიდვების სამსახურში კი-სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება.

ბიუროს სხდომაზე ასევე იმსჯელეს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების შესახებ. როგორც მანანა ბარბაქაძემ განმარტა, ცვლილება შევიდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აგვისტოს N33 დადგენილებაში და იმ დეპუტატებს, რომლებიც თანამდებობის პირები არ არიან, გაწეული ხარჯები ახალი დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად აუნაზღაურდებათ. ხარჯის ზღვრული ოდენობა თვეში არა უმეტეს 676 ლარია, რომელსაც დეპუტატი მიიღებს, საკრებულოს, ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომებში მონაწილეობისთვის, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სხდომების საოქმო ჩანაწერებით. ასევე ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის, რაც დადასტურებული უნდა იყოს ასევე ოქმით.

უფრო ვრცლად, წარმოდგენილი საკითხების შესახებ დეპუტატები 4 აპრილს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ და მერიის მიერ დაფუძნებული ორი ა(ა)იპ-ის მუშაობას შეაფასებენ.

ეკა შავიძე

რიკოთის საშალტეხილო მონაკვეთზე სამუშაოების აქტიურ ფაზაშია

რიკოთის საუღელტეხილო 51.6 კმ-იანი გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში 20 გვირაბი და 38 ხიდი შენდება.

ხევი-უბისის მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები 28 ხიდსა და 17 გვირაბზე მიმდინარეობს, გაჭრილია 4 გვირაბი, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამუშაოები უკვე დასრულებულია 3 გვირაბსა და 6 ხიდზე.

საერთო ჯამში, ამ დროისთვის სამუშაოები 81 ხიდსა და 48 გვირაბზე აქტიურ ფაზაშია, დღეისათვის გაჭრილია 13 გვირაბი.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა საუკუნის პროექტია, რომელიც ურთულეს გეოგრაფიულ მარშრუტზე და ურთულესი საინჟინრო კონსტრუქციებით სრულდება.

რიკოთის მონაკვეთი ჩქაროსნული გზის მშენებლობაში ერთგვარი გარდამტეხი პროექტი იქნება, ვინაიდან ამ პროექტის შედეგად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში უკვე აშენებული ჩქაროსნული მონაკვეთები ერთმანეთს დაუკავშირდება.

საკრებულოს სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს, რომელიც მათ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო. მომხსენებლის ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში 890 000 ლარი გამოეყო. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს ნება დაერთო, საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებით, 2022 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან, რომელიც ჯამში შეადგენს 494 439 ლარს, მიიმართოს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. მათ შორის, 100 000 ლარი-ვანი-სხლითის დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობაზე, 125 000 ლარი-სარგვეშის სასოფლო გზის მოსაბეტონებლად და 269 439 ლარი-ვარძიის საუბნო გზის (პაპიძეების უბანი) რეაბილიტაციისათვის.

საბიუჯეტო ცვლილების თანახმად, 12 000 ლარი დამატებით მიიღო ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა, რომელიც საჭიროა „უსინათლოთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის" პროექტის განსახორციელებლად. 25 000 ლარი გამოეყო, ა(ა) იპ „სათნოების სახლს" ბენეფიციართა კვებისა და ინვენტარის შესაძენად.

ა(ა)იპ-ებისათვის დამატებით, საჭირო 37 ათასი ლარი მიმართული იქნა 2022 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან.

საბოლოოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 15 315 432 ლარი გაიზარდა 890 ათასი ლარით და განისაზღვრება 16 205 432 ლარით. ზრდის წყაროა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 890 ათასი ლარი. რაც შეეხება გადასახდელებს, 18 355 677 ლარი გაიზარდა 936 723 ლარით და განისაზღვრა 19 292 400 ლარით.

ეკა შავიძე

ხარაგაულიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა

პრემიერის გადაწყვეტილებით, რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, 100 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა. აქციაში აქტიურად ჩაერთო ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, შეგროვდა სხვადასხვა სახის არამალფუჭებადი საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი და სამედიცინო საშუალებე-

ბი, რომლებიც ხარაგაულის სახელით უკრაინაში გაიგზავნა.

მუნიციპალიტეტის მერის, კობა ლურსმანაშვილის, ინფორმაციით, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, ასევე თანხები გამოიყო მერის სარეზერვო ფონდიდან. გარდა ამისა, შემოწირულობების სახით თანხა გროვდება მერიის მიერ შექმნილ სპეციალურ ანგარიშზე (300288800), რომლებზეც მსურველებს თანხის ჩარიცხვა კვლავ შეუძლიათ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარება გაეწევა ხარაგაულში მცხოვრებ უკრაინელი ლტოლვილების ოჯახსაც.

კობა ლურსმანაშვილმა მოქალაქეებს ჰუმანიტარულ აქციაში აქტიური ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა. „ხარაგაულის მერიის სახელით, გვინდა, მადლობა გადავუხადოთ საჯარო და კერძო სექტორს, ყველა პიროვნებას, ოჯახს, ორგანიზაციას, საგანმანათლებლო დაწესებულებას გამოხატული გულისხმიერებისა და მხარდაჭერისთვის. ჩვენ ყველა ერთად უნდა გავერთიანდეთ და ამ ადამიანებს გვერდით დავუდგეთ".-აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

ჰუმანიტარული აქცია კვლავ გრძელდება. მსურველებს შემოწირულობების მოტანა ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე შეუძლიათ.

ერთად დავდგეთ უკრაინელი ხალხის დასახმარებლად.

ჩვენი მხარდაჭერა უკრაინას!

გელა კაპანაძის მარადიული სიცოცხლისათვის

არავინ და არაფერია დავიწყებული. ხსოვნა და პატივისცემა არ უნდა მოვაკლოთ იმ ვაჟკაცებს, რომლებიც დაეცნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში. ერთ-ერთი ამათგანია ღორეშელი გელა კაპანაძე.

გელა კაპანაძე 1972 წლის 5 მაისს დაიბადა სოფელ ღორეშაში, ჯონდო და აზა კაპანაძეების შრომისმოყვარე ოჯახში. სავალდებულო-სამხედრო სამსახურს გადიოდა ეროვნული გვარდიის თერჯოლის ასეულში. როცა სამშობლომ მოითხოვა, იგი მაშინვე ჩაება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში 1992-1993 წლებში და გმირულად დაეცა ქალაქ ოჩამჩირესთან-კმიტოულში-ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს. სოფელმა მდუღარე ცრემლით დაიტირა თავის უბეში გაზრდილი ვაჟკაცი და ღორეშის მადლიან მიწას მიაბარა...

როცა ცნობილი გახდა, რომ ხარაგაულის მერია, სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, შვიდ პროექტს დააფინანსებდა, კონკურსში გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდა ღორეშის პროექტიც, რომელსაც ძალისხმევა არ დააკლო სოფლის ხელმძღვანელობამ გურამ კურტანიძის მეთაურობით. მას მუდამ გვერდში უდგანან ომისა და შრომის ვეტერანები, სოფლის ინტელიგენცია, ახალგაზრდობა. ერთობლივად გადაწყდა, რომ ამ პროექტით გაეკეთებინათ ხელოვნურსაფარიანი მინი მოედანი, რომელსაც ღორეშელთა საყვარელი შვილის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული გელა კაპანაძის სახელი მიენიჭება. ამავდროულად გელა კაპანაძის სახელი აქვს მინიჭებული იმ ქუჩას, რომელიც ამ მოედანთან მთავრდება. აღნიშნული ინიციატივით უკვდავყოფილი გახდება ძმათამკვლელ ომს შეწირული ვაჟკაცის - გელა კაპანაძის-სახელი.

ერთხელ კიდევ მინდა, შევახსენო ყველას, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, შესაბამისი პატივი მივაგოთ ყველა იმ ადრე ჩამქრალ სიცოცხლეს, იმ ჭაბუკს, რომელთაც თავიანთი გმირობით ნათელი მაგალითი დაუტოვეს ჩვენს მომავალ თაობებს.

დიდება გმირებს და სიკეთე, დიდხანს სიცოცხლე იმ ადამიანებს, რომლებიც სიტყვითა და საქმით ხელს უწყობენ დაღუპულთა მარადიულ სიცოცხლეს.

პატივისცემით, ხარაგაულის ვეტერანთა კავშირის სახელით -
ელვარდი გიორგიძე

სიცოცხე, რომელსაც უკვდავება ჩაენაცვლა...
(ანზორ მაღრაძის ხსოვნას)



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 81-ე წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული სპორტის ამაგდარი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ღირსების ორდენის კავალერი, ხარაგაულის საპატიო მოქალაქე ანზორ მაღრაძე.

ანზორ მაღრაძის შინაარსიანი ცხოვრება ნათელი მაგალითია სამშობლოს უანგარო სამსახურისა, მომავალ თაობათა უსაზღვრო სიყვარულისა, მათი ფიზიკური წრთობისა და სულის გაფაქიზებისა...

ანზორ მაღრაძე 1941 წლის 9 აგვისტოს დაიბადა სოფელ ლეღვანში, პედაგოგის ოჯახში. წარმატებით დაამთავრა ჯერ ლეღვნის საშუალო სკოლა, შემდეგ კი-თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი. სპორტული განხრით მან უამრავ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე გამოიჩინა თავი, როგორც გულისხმიერმა, პუნქტუალურმა და ჭეშმარიტად პროფესიონალმა პიროვნებამ, მაგრამ მისი ღვაწლი განუზომელია თავისუფალი ჭიდაობის სფეროში. ანზორ მაღრაძემ შექმნა ხარაგაულში თავისუფალი ჭიდაობის ძლიერი სკოლა. მისმა აღზრდილმა ფალავნებმა და სპორტის ოსტატებმა მსოფლიოს გააცნეს იმერეთის ამ უმშვენიერესი კუთხის სპორტული ღირსება.

შესაშური იყო მისი მორალური თუ, ეკონომიური საჭიროებებიდან გამომდინარე, თბილი ურთიერთობა თავის აღსაზრდელებთან. მათი წარმატება იყო ბატონი ანზორის სიცოცხლის წყარო, მისი ცხოვრების საზრისი.

სამწუხაროდ, ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში ეს დიდებული ქართველი სარეცელს იყო მიჯაჭვული. მისი ფიქრი კი ყოველ წუთს თავს დასტრიალებდა სპორტსმენთა წვრთნას. უნდა აღინიშნოს ერთი გამორჩეული ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან - მან მისთვის თავდადებულ პედაგოგ მეუღლეს, ქალბატონ მარინე ლურსმანაშვილს, გაანდო:- ჩემთვის ყოველგვარი მედიკამენტი და მკურნალობა ამაოა. ჩემი ხსნა ერთი გზით შეიძლება - ამ მდგომარეობაში მყოფს, მომეცეს საშუალება, ისევ ჩავერთო ჩემს სანუკვარ საქმეში, ეს იქნება ჩემი მეორედ დაბადება... მადლობა იმ გულისხმიერ ადამიანებს, რომელთა ჰუმანიზმით ამაგდარმა სპორტსმენმა ეს სურვილი აისრულა...

ბედნიერი იყო, რომ ყურადღებას არ აკლებდა ადგილობრივი ხელისუფლება, მზრუნველობასა და მონახულებას-აღზრდილები, რომელთაც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, თუ ვინ იყო ანზორ მაღრაძე...

და დადგა ჟამი, როცა სიცოცხლემ გზა დაუთმო უკვდავებას...

დიახ, წუთისოფლიდან უკვდავებაში გადაინაცვლა ანზორ მაღრაძემ, დატოვა საამაყო ოჯახი, უერთგულესი, მზრუნველი მეუღლე, საუკეთესოდ აღზრდილი შვილები, უსაყვარლესი შვილიშვილები...

...ზღვა ცრემლმა მიაცილა იმქვეყნიურ სავანემდე... სიცოცხლეში არასოდეს აურჩევია გზა მატერიალური სიმდიდრის მოსაპოვებლად. „სჯობს სახელისა მოხვეჭა - ყოველსა მოსახვეჭელსა" - შეგვაგონებს დიდი რუსთაველი. ანზორ მაღრაძისგან ამქვეყნად დატოვებული სახელი არის გარანტი მისი მარადიული სიცოცხლისა, უკვდავებისა...

ზენაარმა დაიცვას მისი სულის სიმშვიდე...

ამინ!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ: 595-51-98-12